

სლივ ბასტრექტომია წელმეტი კილოგრამების მოსაშორებლად



ჭარბი წონა კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი საფიქრალა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ის

დედამიწის მილიარდზე მეტ მკვიდრს აწუხებს. ჭარბწონიანობა არ არის მხოლოდ ესთეტიკური პრობლემა — ზედმეტი კილოგრამები ვნებს ჯანმრთელობას: ხელს უწყობს არტერიული წნევის მომატებას, გულისა და სახსრების დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის, ასთმის განვითარებას და სხვა.

ჭარბი წონის საწინააღმდეგოდ მედიცინა ქირურგიულ ჩარევასაც გთავაზობს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ბარიატრიული ოპერაციის, სლივ გასტრექტომიის შესახებ ქირურგიის ეროვნული ცენტრის ქირურგიული დეპარტამენტის უფროსი მიმწიფი ფიქსანია გვესაუბრება:

სლივ ბასტრექტომიის ჩვენება

— სლივ გასტრექტომია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური ქირურგიული ჩარევაა. ამ ოპერაციის ჩვენება რამდენიმე კრიტერიუმით განისაზღვრება, მათ შორის — პაციენტის წონით, სიმაღლით და სქესით. მეტისმეტად ჭარბი წონის მქონე პაციენტებს სხვა ტიპის, უფრო რთული ქირურგიული ჩარევა სჭირდებათ, რაც უფრო სარისკოა.

სლივ გასტრექტომია ტარდება, როდესაც სხეულის მასის ინდექსი 30-ს ან 35-ს აღემატება და პაციენტს აღენიშნება ჭარბი წონით გამოწვეული მეორეული გართულებები. გადანყვებილებაზე დიდ გავლენას ახდენს ისიც, უცდია თუ არა პაციენტს ჩვენთან მოსვლამდე წონის დაკლება და რა გზით. თუ მისი ყველა მცდელობა უშედეგო იყო, ბუნებრივია, სლივ-გასტრექტომიის აუცილებლობა განიხილება.

ბეჯანიზმი

— ოპერაციის შემდეგ კუჭი ბანანის ფორმას იღებს. მისი მოცულობა 1500-დან 150-200 მლ-მდე მცირდება. წონის კლება ოპერაციის დღიდანვე იწყება. ჯერ ერთი, ოპერაციის დროს მცირდება კუჭის მოცულობა, მეორე — კუჭის ამოკვეთილ ნაწილს თან მიჰყვება მადაზე პასუხისმგებელი ჰორმონის, გრელინის, გამომშუმავებელი უჯრედებიც. კუჭის მოცულობის შემცირება და შიმშილის ჰორმონის გამომშუმავების შეწყვეტა განაპირობებს იმას, რომ ადამიანს მალევე ეუფლება დანაყრების შეგრძნება, შედეგად ცოტას ჭამს და ათეულობით კილოგრამს იკლებს.

ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ

— ოპერაციამდე პაციენტი განსაზღვრულ დროს დიეტოლოგებისა და ენდოკრინოლოგების მეთვალყურეობის ქვეშ ატარებს, იღებს და ასრულებს შესაბამის რეკომენდაციებს. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მომზადებაც: პაციენტს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული ოპერაციის მნიშვნელობა.

ოპერაციის შემდეგ პაციენტი დაახლოებით ხუთი დღე რჩება კლინიკაში, სადაც მუდმივად აკონტროლებენ მის კვებას და ჯანმრთელობის მდგომარეობას. რეაბილიტაციის პერიოდში პაციენტის მდგომარეობას განსაზღვრული სიხშირით ისევ ამოწმებს ენდოკრინოლოგ-დიეტოლოგი. შედეგის შენარჩუნებაში გადამწყვეტი როლი თავად პაციენტს აკისრია.

რეკომენდაცია ყველასათვის

— რა თქმა უნდა, უმჯობესია, ადამიანს არ დასჭირდეს ქირურგიული ჩარევა — ნორმალური წონა ცხოვრების ჯანსაღი წესით შეინარჩუნოს. ჭარბი წონისგან თავის დასაზღვევად აუცილებელია, დაიცვათ კვების სწორი რეჟიმი — მიირთვათ ხშირად, მცირე ულუფებით, რაციონი გაიმდიდროთ ხილ-ბოსტნეულით, აირჩიოთ ჯანსაღი საკვები, გამოიხატოთ დრო რეგულარული ფიზიკური აქტივობისთვის. გახსოვდეთ: საკუთარ ჯანმრთელობაზე ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა თავად გეკისრებათ.

რატომ იმატებს

— წონის მატებას უმთავრესად არასწორი კვება და ცხოვრების არასწორი სტილი განაპირობებს, თუმცა სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას: გენეტიკა, ჰორმონული დისბალანსი, ეკოლოგიურად დაბინძურებული გარემო და საკვები. ჭარბი წონის თავიდან ასაცილებლად და, საზოგადოდ, უკეთესი ჯანმრთელობისთვის უნდა დავარგულოთ კვების რაციონი, საკვების მიღების დრო, ფიზიკური აქტივობის სიხშირე...

ქირურგიის არსენალი

— მიუხედავად გასახდომი საშუალებების სიმრავლისა, ჭარბ წონას დღესაც ბევრი უჩივის. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მედიცინამ კიდევ ერთი, საკმაოდ ეფექტური მიმართულება განავითარა.

ბარიატრიული ქირურგია მედიცინის დარგია, რომელიც სხვადასხვა სახის ოპერაციულ ჩარევას მოიცავს. მისი მიზანია, დაეხმაროს ადამიანს ჭარბი წონისა და სიმსუქნის მძიმე ფორმების დროს. წონის დაკლება კი სიმსუქნით გამოწვეული დაავადებებისგან განკურნების საშუალებასაც იძლევა. ეს დაავადება უმეტესად შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ია.

თანამედროვე ბარიატრიული ქირურგიის არსენალში შემდეგი მეთოდები:

- ▶ ინტრაგასტრალური ბალონირება;
- ▶ ჯუჭის ბანდაჟირება;
- ▶ Gastric bypass — ოპერაციული ჩარევა ჯუჭის გვერდის ავლით;
- ▶ ჯუჭის ვერტიკალური რეზექცია, იგივე სლივ გასტრექტომია, რომელსაც ხალხში ჯუჭის დაპატარავებას უძახიან.